

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბრძანება**

\_\_\_25.07.2014 წ.\_\_\_\_ № \_\_\_141\_\_\_

**თბილისი**

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის №395 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის N 1206 საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2014 წლის 1-21 აგვისტო [www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 წლის 25 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე კვირის და გამოსასვლელი დღეების გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2014 წლის 8 სექტემბრისა;

5. 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2014 წლის 11 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი

**ა.ფრანგიშვილი**

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

**ლ.კლიმიაშვილი**

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

**ი.ლომიძე**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

**ბ.მაისურაძე**

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე \_\_\_\_\_ ლ. კლიმაშვილი

**დასკვნა**

**სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ**

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	<input type="checkbox"/> ბაკალავრიატი <input type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

**სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	EC TS კრედიტი	აკადემიური საათი			EC TS კრედიტი	აკადემიური საათი

**გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:**

სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

**დასკვნა:**

- რეკომენდირებულია გადმოყვანა
  გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

**შენიშვნა**

---



---

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:

--

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

--

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

\_\_\_\_\_  
ი.ლომიძე

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა

ფაკულტეტის უზრუნველყოფის უფროსი: ხარისხის სამსახურის

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_  
ხელმოწერა